

# სტუდენტის გზაგაკლემი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმნიშვნელოვანესი სასწავლო და სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულია. ფაკულტეტი აქტიურად ნერგავს და ახორციელებს სტუდენტთათვის თანამედროვე დასავლური უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის მიღწევებს.

- 
- 
- 

## ფაკულტეტის სტრუქტურა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის 7 სასწავლო-სამეცნიერო მიმართულება, სადაც სტუდენტებს სთავაზობენ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს.

ეს მიმართულებებია:

- პოლიტიკური მეცნიერებანი
- ჟურნალისტიკა
- საერთაშორისო ურთიერთობები
- საზოგადოებრივი გეოგრაფია
- სოციალური მუშაობა
- სოციოლოგია
- ფსიქოლოგია

საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულებისას, ფაკულტეტის კურსდამთავრებულს მიენიჭება სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი (Bacalaurus Artium) შესაბამისი სპეციალიზაციის მითითებით. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად კანდიდატმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი.

- 
- 
- 

**ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის საუნევერსიტეტო ფორმატი** მოქმედებს შემდეგი წესით:

სტუდენტს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად საჭირო კრედიტების შესრულება შეუძლია: ძირითადი სპეციალობის (major – 120 კრედიტი), დამატებითი სპეციალობის (minor – 60 კრედიტი) და თავისუფალი კრედიტების

ერთობლიობით, ან მხოლოდ ძირითადი სპეციალობისა (major) და თავისუფალი კრედიტების ერთობლიობით.

**საბაკალავრო პროგრამის ფორმატის დაგეგმვა** სტუდენტის პერეოგატივია და მას თავისუფალი არჩევანის უფლება აქვს. დამატებითი სპეციალობისა და თავისუფალი კრედიტების არჩევა დასაშვებია როგორც ძირითადი ფაკულტეტის, ასევე თსუ სხვა ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამებიდან.

- 
- 
- 

## ბაკალავრიატი გულისხმობს სწავლების სამ დონეს:

**პირველი დონე** მოიცავს საბაზისო სწავლებას.

**მეორე დონე** – ცალკეული საბაკალავრო პროგრამის ძირითად და დამატებით საგნებს, რომლებიც ორიენტირებულია მეთოდოლოგიური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

**მესამე დონეზე** ცალკეული საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს სპეციალიზაციის მოდულს. ამავე დონეზე ხდება საბაკალავრო ნაშრომის მომზადება.

- 
- 
- 

**საბაზისო-საფაკულტეტო სწავლება** მოიცავს 60 კრედიტს და შედგება:

ა) სავალდებულო კურსებისაგან:

- 1) კვლევის მეთოდები – 10 კრედიტი
- 2) სტატისტიკა – 5 კრედიტი
- 3) ინგლისური ენა – 10 კრედიტი

ბ) სავალდებულო/არჩევითი კურსებისაგან, რომელთაგან აუცილებელია 20 კრედიტის შესრულება:

- ჟურნალისტიკის შესავალი - 5 კრედიტი
- შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში - 5 კრედიტი
- შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში - 5 კრედიტი;
- საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი - 5 კრედიტი;
- სოციალური სამუშაოს შესავალი - 5 კრედიტი;
- სოციოლოგიის შესავალი - 5 კრედიტი;
- ფსიქოლოგიის შესავალი - 5 კრედიტი.

გ) არჩევითი/სავალდებულო კურსები. რომელთაგან აუცილებელია 15 კრედიტის შესრულება:

- ლოგოკა – 5 კრედიტი
- აკადემიური წერა – 5 კრედიტი
- ეკონომიკა – 5 კრედიტი
- ანთროპოლოგია – 5 კრედიტი

- 
- 
- 

საბაზისო სწავლების თავისუფალი კრედიტების ფარგლებში სტუდენტი დამოუკიდებლად ირჩევს კურსებს. საბაზისო სწავლების ყველა სავალდებულო და სავალდებულო-არჩევითი კურსი სემესტრულია და იკითხება როგორც სამუშაოდგომო, ისე საგაზაფხულო სემესტრის განმავლობაში.

- 
- 
- 

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სავალდებულოა ინგლისური ენის შესწავლა და 10 კრედიტის შესრულება. ხოლო საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამისათვის სავალდებულოა 30 კრედიტი, ან ინგლისურ ენასთან ერთად მეორე უცხო ენის შესწავლაც. პირველი კურსის სტუდენტები აკადემიური წლის დასაწყისში გადიან სავალდებულო ტესტირებას ინგლისურ ენაში და აგრძელებენ სწავლას ტესტირების შედეგებით განსაზღვრულ შესაბამისი დონის ჯგუფებში.

## ხშირად დასმული კითხვები:

**რას ნიშნავს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია?**

ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს ყოველი სემესტრის დასაწყისში სემესტრული სწავლის საფასურის გადახდას, ხოლო აკადემიური რეგისტრაციისას სტუდენტი ირჩევს და თსუ-ის ბაზაში აფიქსირებს სასწავლო დისციპლინებს.

**რამდენი კრედიტის გავლის უფლება ენიჭება სტუდენტს ყოველ სემესტრში?**

სასწავლო წლის განმავლობაში ბაკალავრიატის I დონის სტუდენტს ეძლევა 65 კრედიტის აღების უფლება. ასევე VIII და XII დამამთავრებელ სემესტრში სტუდენტს აქვს უფლება აიღოს 40 კრედიტი..

• • •

**შეიძლება თუ არა ერთი და იგივე საგნის ხელმოწერა არჩევა კრედიტის შეუსრულებლობისას?**

ერთი და იგივე საგნის სამჯერ არჩევა შეიძლება. მესამედ კრედიტის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეგიწყდებათ სტუდენტის სტატუსი.

• • •

**სად შეიძლება სტუდენტმა დააზუსტოს ფაკულტეტის ანა თუ იმ მიმართულების საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნები?**

ფაკულტეტზე მოქმედებს ტუტორების, ანუ აკადემიური კონსულტანტების ინსტიტუტი. თითოეულ მიმართულებაზე თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ ტუტორს და მასთან გაიაროთ წინასწარი კონსულტაცია.

საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო მოთხოვნების შესახებ მიმართულებების მიხედვით მიმართეთ:

**პოლიტიკური მეცნიერებანი** – თსუ VI კორპ., ოთახი #301, ნათია დათიაშვილი

**ჟურნალისტიკის მიმართულება** – თსუ VI კორპ., ოთახი #202, თეა მჭავანაძე.

**საერთაშორისო ურთიერთობები** – თსუ IV კორპ., ოთახი #202, გიორგი გვასალია.

**საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება** – თსუ IV კორპ., ოთახი #212, ლუიზა აბაზაძე.

**სოციოლოგიის მიმართულება** – თსუ IV კორპ., ოთახი #307, თამარ ლალიძე.

**ფსიქოლოგიის მიმართულება** – III კორპ., ოთახი #102, თამარ ხიდაშელი.

**ჩვენი თხოვნაა:** ერთი თვის ვადაში აცნობოთ ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს (VI კორპუსი, ოთახი № 205) პირად ბარათში მითითებული ინფორმაციის ცვლილებების შესახებ!

გისურვებთ წარმატებებს

მისამართი:

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატი

თსუ VI კორპუსი

ჭავჭავაძის გამზირი №8

0128 თბილისი

ტელ.: (+995 32) 25 17 35  
(+995 32) 29 05 94  
<http://social.tsu.ge>

• • •

**მიმართულებები:**

პოლიტიკური მეცნიერება- 221101(2 54 )

ჟურნალისტიკა - 25 17 34; 221101(2 34)

საერთაშორისო ურთიერთობები - 29 03 66

საზოგადოებრივი გეოგრაფია - 221101(2 61)

სოციოლოგია - 25 08 19

ფსიქოლოგია - 22 44 69



# სტუდენტის გზაგაკვლევები

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

- პოლიტიკური მეცნიერებანი
- ჟურნალისტიკა
- საერთაშორისო ურთიერთობები
- საზოგადოებრივი გეოგრაფია
- სოციალური მეცნიერება
- სოციოლოგია
- ფსიქოლოგია

2011 წელი